

საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს  
სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროებში  
მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევის  
ბიურო

2019 წლის 6 დეკემბერს, „შეკვეთილი“-ს ტრავერზზე მომხდარი საზღვაო  
შემთხვევის (თევზსაჭერი გემი „GANTLADI“-ს ჩაძირვა) მოკვლევის  
ანგარიში.

თბილისი 2020

## სარჩევი

მოკლე შინაარსი

1. ფაქტობრივი ინფორმაცია

1.1. ინციდენტის ისტორია

1.2. სხეულის დაზიანება

1.3. გემის დაზიანება

1.4. სხვა დაზიანებები

1.5. გემის მონაცემები

1.6. მონაცემები ეკიპაჟზე

1.7. მეტეოროლოგიური ინფორმაცია

1.8. ხანძარი

1.9. მოკვლევისას გამოვლენილი სხვა ნაკლოვანებები

2. ანალიზი

3. დასკვნა

4. უსაფრთხოების რეკომენდაციები

საზღვაო შემთხვევის/ინციდენტის მოკვლევის მიზანია მისი თანმდევი გარემოებების ყოველმხრივი შესწავლა, გამომწვევი მიზეზების და შედეგების დადგენა, მასში მონაწილე პირთა ქმედებების შეფასება, აგრეთვე პრევენციული ღონისძიებების შემუშავება შემდგომში მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

## მოკლე შინაარსი

2019 წლის 05-06 დეკემბერს, თევზსაჭერი გემი „GANTIADI“, შავი ზღვის „შეკვეთილი“-ს ტრავერზზე აწარმოებდა თევზჭერას. 02:20სთ. (დრო აქაც და შემდგომშიც ადგილობრივი) გეოგრაფიულ კოორდინატებში  $\varphi=41^{\circ}54'51,3N$   $\lambda=041^{\circ}45'30,2E$  მოხდა გემის ჩაძირვა.

გემის ჩაძირვის პროცესში, ეკიპაჟის ყველა წევრი უსაფრთხოდ გადავიდა საშველად მისულ თევზსაჭერ გემ „VICTORIA“-ზე.

06.12.2019წ. 02:56სთ. ფოთის ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურიდან, სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროებში მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევის ბიუროში შემოვიდა შეტყობინება მომხდარ საზღვაო ინციდენტზე.

მოკვლევა დაიწყო

06.12.2019

მოკვლევა დამთავრდა

15.06.2020

### 1. ფაქტობრივი ინფორმაცია

#### 1.1. ინციდენტის ისტორია

2019 წლის 06 დეკემბერს, სარეწაო პროდუქციის მოპოვებისა და რეალიზაციის კოოპერატიული საზოგადოება „გაგრა“-ს კუთვნილი თევზსაჭერი გემი „GANTIADI“, ქ. ქობულეთის და დასახლებული პუნქტი „შეკვეთილი“-ს ტრავერზზე, შავი ზღვის აკვატორიაში, კარგი ამინდის პირობებში, აწარმოებდა თევზჭერას. გემი „GANTIADI“-ს ეკიპაჟი შედგებოდა შვიპერის (კაპიტანი) და 7 მეზღვაურისგან.

შვიპერის და ეკიპაჟის წევრების ახსნა განმარტებებით, 01:00სთ. გემი „GANTIADI“ უკვე დატვირთული იყო 35 ტონა დაჭერილი თევზით და 8.5 კვანძი

სიჩქარით მოძრაობდა ფოთის პორტის მიმართულებით. მდინარე „ჩოლოქი“-ს ტრავერზზე, შკიპერმა გემის ქიშხე(ცხვირი) შეიგრძნო უცხო საგნის დარტყმა, რის გამოც ჩართო ავარიული ხმოვანი სიგნალი და ადგილზე ვიზუალურად შემოწმების მიზნით გააგზავნა მექანიკოსი. მექანიკოსმა გემის ღუზის ჯაჭვის ყუთის და კაიუტის გამყოფი კედლის რაიონში, მარჯვენა მხარეს აღმოაჩინა წყლის შემოდინება, რის შესახებაც მაშინვე აცნობა შკიპერს.

გემის შკიპერმა წყლის შემოდინებაზე ინფორმაციის მიღებისთანავე გამოაცხადა განგაში და მოატრიალა გემი ხმელეთის მიმართულებით. გემის მექანიკოსმა და „ტრალი“-ს სპეციალისტმა დაიწყეს შემომავალი წყლის დინების შეჩერება მათ ხელთ არსებული საშუალებებით (ბალიშები, ტილოები), მაგრამ მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა და მალე ისინი აღმოჩნდნენ ყელამდე წყალში, რის შემდეგაც ამოვიდნენ მაღლა, პალუბაზე და მოახსენეს შკიპერს ფაქტიური მდგომარეობა. ამავე პერიოდში ეკიპაჟის მიერ მიმდინარეობდა წყლის ამოქაჩვა ელექტრო ტუმბოების საშუალებით, მაგრამ გემში შემავალი წყლის რაოდენობა ჭარბობდა ამოტუმბულს.

01:30 სთ. გემის შკიპერმა გამოაცხადა განგაში და 01:50სთ. სარადიოტელეფონო კავშირის ულტრამოკლე ტალღის 16 არხზე, გადასცა შეტყობინება ინციდენტზე „P-25“-ს (სანაპირო დაცვა), ასევე ახლომდებარე თევზსაჭერ გემებს და მოითხოვა დახმარება.

ამ პერიოდში, შემავალი წყლის შედეგად გემმა მიიღო დისბალანსი ქიმის მხარეზე, გახდა უმართავი, დაიწყო მარჯვნივ გადახრა და დაიწყო ჩაძირვა, რის შემდეგაც შკიპერმა გასცა ბრძანება გემის დატოვებაზე. გემის ჩაძირვის პროცესში, ეკიპაჟმა ჩაიცვა ჟილეტები და ზღვაში გადახტომით დატოვა გემი. მოგვიანებით ეკიპაჟის ყველა წევრი აყვანილ იქნა საშველად მისულ თევზსაჭერ გემ „VICTORIA“-ზე.

გემი ჩაიძირა 02:20 სთ. კოორდინატებში  $\varphi=41^{\circ}54'51,3N$   $\lambda=041^{\circ}45'30,2E$   
დაახლოებით 20-23 მეტრ სიღრმეზე.


## 1.2. სხეულის დაზიანება


გემი „GANTIADI“-ს ეკიპაჟის სხეულის დაზიანებას ინციდენტის დროს ადგილი არ ქონია.

## 1.3. გემის დაზიანება

გემი „GANTIADI“-ს ჩაძირვის ადგილზე, სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის მიერ დაფიქსირდა გემის ჩაძირვის ადგილის ზუსტი კოორდინატები და გემის კორპუსის ფაქტიური პოზიცია ზღვის ფსკერზე. ასევე დაქირავებული მყვინთავების მიერ მოხდა გემის კორპუსის დათვალიერება - დასურათება წყალქვეშ. აღმოჩნდა, რომ გემი ზღვის ფსკერზე დევს მარჯვენა ბორტით, და ეკიპაჟის მიერ მითითებულ დაზიანებულ ადგილამდე მისვლა შეუძლებელია, რადგანაც დაფარულია სილით.

გამომდინარე აქედან მოკვლევის ამ ეტაპზე გემის კორპუსის დაზიანების დეტალური აღწერა, ანალიზის გაკეთება და მიზეზის დადგენა შეუძლებელია.





#### 1.4. სხვა დაზიანებები

გემი „GANTIADI“-ს მიერ, ინციდენტის დროს სხვა ობიექტებისთვის დაზიანების მიყენებას ადგილი არ ქონია.

#### 1.5 თევზსაჭერი გემის „GANTIADI“ -ის მონაცემები

გემის სახელი : „GANTIADI“

გემის ტიპი: თევზსაჭერი გემი

აშენების წელი: 1983

აშენების ადგილი : ქ. ეისკი

გემთმფლობელი - სარეწაო პროდუქციის მოპოვებისა და

რეალიზაციის კოოპერატიული საზოგადოება გაგრა ს/კ : [211322193](tel:211322193) მისამართი: ქ.

ფოთი დუმბაძის N34 საქართველო TEL: [599102079](tel:599102079) E-mail: ქ.ფოთი დუმბაძის 34

გემის რეგისტრაციის მოწმობის ნომერი : C-00049

მოწმობის გამცემი ორგანო: სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

მიწერის ნავსადგური: ფოთი

რეგისტრაციის თარიღი : 12/11/2012

მოწმობის გაცემის თარიღი: 16/10/2019

მოქმედების ვადა: 16/10/2020

წინა რეგისტრაციის ნომერი: GP 679 C

სახმობი სიგნალი: 4L FU

გემის ზღვაოსნობის სერტიფიკატის ნომერი: FV-03/19

საკლასიფიკაციო საზოგადოება: შპს „ბლექ სი შიპინგ რეჯისტერი“  
 გემის წყალქვეშა კორპუსის ბოლო დათვალიერება ჩატარდა ქ. ფოთში: 21.09.2019  
 სურვეირული შემოწმების დამთავრების თარიღი: 12.10.2019  
 სერტიფიკატის გაცემის ადგილი: ქ. ბათუმი  
 სერტიფიკატის გაცემის თარიღი: 15.10.2019  
 სერტიფიკატი ძალაშია: 15.10.2022  
 ნაოსნობის რაიონი : 6 საზღვაო მილი  
 საერთო ტევადობა: 92.49(GT)  
 სიგრძე : 22,40 მ  
 სიგანე : 6.50 მ  
 სიმაღლე : 3.05 მ  
 ღუზა: MATROSOVA 1X200kg  
 ღუზის ჯაჭვი: 1X100; კალიბრი-19მმ.  
 მთავარი ძრავი: 6CHNSP 18/22; 165 Kw; 750min დამზადებულია 1982წ. ქ.ხაბაროვსკი  
 დიზელ გენერატორი: 2x MCC82-4; 2X25,0Kw; 2X K-962  
 ამძრავი ლილვი ხრახნით: ფიქსირებული ბიჯით, მოხსნადი ფრთებით; 350min

მაქსიმალური პერსონის რაოდენობა: 10 ადამიანი  
 მათ შორის 3 ეკიპაჟის წევრი : შკიპერი, სავახტო მექანიკოსი ან მოტორისტი და რიგითი მეთევზე მეზღვაური.

### 1.6. მონაცემები ეკიპაჟზე

შკიპერი - დაბადების თარიღი 10.02.1964

სერტიფიკატის ტიპი	სერტიფიკატი №	გაცემის თარიღი	მოქმედების ვადა
უსაფრთხოების საბაზისო წვრთნა	00044918	18.06.2018	06.11.2023
კომპეტენციის სერტიფიკატი/ 12 მეტრიდან 24 მეტრამდე სიგრძის თევზსაჭერი გემის შკიპერი	00003519	23.08.2019	23.08.2024

შკიპერის თანაშემწე - დაბადების თარიღი 25.04.1961

სერტიფიკატის ტიპი	სერტიფიკატი №	გაცემის თარიღი	მოქმედების ვადა
-------------------	---------------	----------------	-----------------

უსაფრთხოების საბაზისო წვრთნა	00044218	18.06.2018	06.11.2023
კომპეტენციის სერტიფიკატი/ 12მეტრიდან 24 მეტრამდე სიგრძის თევზსაჭერი გემის შეიქმნა	00003419	23/08/2019	23.08.2024

**მთავარი მექანიკოსი - დაბადების თარიღი 20.03.1961**

სერტიფიკატის ტიპი	სერტიფიკატი №	გაცემის თარიღი	მოქმედების ვადა
უსაფრთხოების საბაზისო წვრთნა	00044418	18.06.2018	06.04.2023
კომპეტენციის სერტიფიკატი/750 კვტ-ზე ნაკლები სიმძლავრის მთავარი ამძრავი მექანიზმის მქონე თევზსაჭერი გემის მეორე მექანიკოსი	00001515	01.06.2015	01.06.2020

**მექანიკოსი - დაბადების თარიღი 27.09.1980**

სერტიფიკატის ტიპი	სერტიფიკატი №	გაცემის თარიღი	მოქმედების ვადა
უსაფრთხოების საბაზისო წვრთნა	00044318	18.06.2018	06.04.2023
კომპეტენციის სერტიფიკატი/ 750 კვტ-ზე ნაკლები სიმძლავრის მთავარი ამძრავი მექანიზმის მქონე თევზსაჭერი გემის მეორე მექანიკოსი	00003319	27.08.2019	27.08.2024

**რიგითი მეთევზე მეზღვაური - დაბადების თარიღი 24.03.1955**

სერტიფიკატის ტიპი	სერტიფიკატი №	გაცემის თარიღი	მოქმედების ვადა
უსაფრთხოების საბაზისო წვრთნა	00044118	18.06.2018	06.04.2023

**რიგითი მეთევზე მეზღვაური - დაბადების თარიღი 10.03.1964**

სერტიფიკატის ტიპი	სერტიფიკატი №	გაცემის თარიღი	მოქმედების ვადა
უსაფრთხოების საბაზისო წვრთნა	00046418	18.06.2018	06.04.2023

**რიგითი მეთევზე მეზღვაური - დაბადების თარიღი 16.05.62**

სერტიფიკატის ტიპი	სერტიფიკატი №	გაცემის თარიღი	მოქმედების ვადა
უსაფრთხოების საბაზისო წვრთნა	00044318	18.06.2018	06.04.2023



**რიგითი მეთევზე მეზღვაური - დაბადების თარიღი 26.02.74**

სერტიფიკატის ტიპი	სერტიფიკატი №	გაცემის თარიღი	მოქმედების ვადა
უსაფრთხოების საბაზისო წვრთნა	00044518	18.06.2018	06.04.2023

**1.7. მეტეოროლოგიური ინფორმაცია**

მხედველობა 7 მილი;

ქარი NW 2-3 მ/წ;

ტალღები 0.1 მეტრი.

ჰიდრომეტეოროლოგიური პირობები იყო კარგი და მოცემულ ინციდენტთან კავშირი არ ქონია.

**1.8. ხანძარი**

მოცემულ საზღვაო ინციდენტის დროს ხანძარს ადგილი არ ქონია.

**1.9 მოკვლევისას გამოვლენილი სხვა ნაკლოვანებები**

- ქ. ფოთში, APM ტერმინალის საკუთრებაში არსებობს ე.წ. მცურავი დოკი, რომლის ტექნიკური მდგომარეობა არის სავალალო. 2010 წლიდან მასზე არ განხორციელებულა არცერთი ძირითადი ტიპის მოვლის და შეკეთების სამუშაოები, ასევე შეჩერებული აქვს სახელმწიფო რეგისტრაცია. შესაბამისად გამოიკვეთა, რომ თევზსაჭერი გემის „განთიადი“ სადოკო სამუშაოების წარმოება განხორციელდა არასერტიფიცირებულ დოკზე, რომლის ექსპლუატაციის საკანონმდებლო ჩარჩო საქართველოში ამ დრომდე არ არსებობს, თუმცა ის ფაქტი რომ მცურავი დოკი ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას დამტკიცებულია საქართველოს საზღვაო კოდექსის მე-12 მუხლით და მე-2 თავით გემის რეგისტრაციის შესახებ.
- 2019 წლის 6 დეკემბერს შპს „black sea shipping register“ (ს/კ: 445524683) სააგენტოს წერილობით წარუდგინა თევზსაჭერი გემის „განთიადი“ დოკირების პერიოდში ჩატარებული სამუშაოების

ჩამონათვალი და შემდუღებლების მოწმობები, რომლის მოქმედების ვადები იყო 02/05/2021 მდე, რომელიც გაცემულია შპს „საზღვაო ტექსერვისი“-ს მიერ.

- შპს „საზღვაო ტექსერვისი“ აღიარებული არის შპს შპს „რუსეთის ნაოსნობის საზღვაო რეგისტრი“-ს მიერ, შესაბამისად შემდუღებლის კურსების პროგრამა შეთანხმებული/აღიარებული არის აღნიშნულ აღიარებულ ორგანიზაციასთან.
- შპს „რუსეთის ნაოსნობის საზღვაო რეგისტრი“-ს განცხადებით, მათ მიერ გაცემული შემდუღებლის სერტიფიკატებს ვადა გაუვიდა 2019 წლის 24 მაისს.
- დღეის მდგომარეობით თევზსაჭერი გემებისთვის დაზღვევა სავალდებულო არ არის, ეს დამოკიდებულია გემთფლობელის კეთილ ნებაზე.

## 2. ანალიზი

ანალიზი გაკეთებულია: საქართველოს საზღვაო კოდექსის; „საზღვაო ინციდენტების/შემთხვევების სამსახურებრივი მოკვლევის წესის“; ტექნიკური რეგლამენტის “ნავსადგურის წესების“; შპს „ბლექსი რეჯისტერი“-ს (BSSR) „ექსპლუატაციაში და რემონტში მყოფი 500 ტონამდე და ზომამცირე გემების ტექნიკური ზედამხედველობის წესების; საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის მიერ გამოცემული ამინდის პროგნოზების და ფაქტიური ამინდების ამონაწერის; ფოთის ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობის და კონტროლის სამსახურის მორიგე ოფიცრის მოხსენებითი ბარათის - შეტყობინება ინციდენტზე; გემის ეკიპაჟის ახსნა-განმარტებითი

ბარათების; გემის ეკიპაჟის სერტიფიკატების; შპს „ბლექ სი რეჯისტერი“-ს (BSSR) შემდუღებლების სერტიფიკატების ვადის გადამოწმების მიზნით, შპს „რუსეთის ნაოსნობის საზღვაო რეგისტრი საქართველოში“- დან გამოთხოვილი ინფორმაციის; შპს „ბლექსი რეჯისტერი“-დან წარმოდგენილი გემ „GANTIADI“-ზე ექსპლუატაციამდე შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალის, ასევე შემოწმების კითხვარი (ჩეკ-ლისტი) # 05 BSSR. F-013 და გაცემული სერტიფიკატის # FV-03/19; გემების მოძრაობის ავტომატური საიდენტიფიკაციო სისტემა (AIS)-ს ჩანაწერების; საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის მიერ წარმოდგენილი წყალქვეშ გადაღებული ფოტო მასალა ჩაძირულ გემზე; მცვინთავების მიერ წარმოდგენილი, წყალქვეშ გემზე გადაღებული ფოტო-ვიდეო მასალა; სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოდან წარმოდგენილი გემი „GANTIADI“-ს დოკუმენტაცია, ასევე დოკუმენტაცია სააგენტოს მიერ მოცემული ინციდენტის შემდეგ განხორციელებულ სამუშაოებზე; შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს ფოთის განყოფილებიდან შეტყობინება; საზღვაო ტრანსპორტის სფეროში დანერგილი საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე.

წარმოდგენილი ზემოაღნიშნული დოკუმენტების შესწავლა-ანალიზმა გვიჩვენა შემდეგი:

სარეწაო პროდუქციის მოპოვებისა და რეალიზაციის კოოპერატიულ საზოგადოება „გაგრა“-ს კუთვნილი თევზსაჭერი გემი „GANTIADI“-ს რეგისტრაცია და ეკიპაჟის სერტიფიცირება შეესაბამებოდა არსებულ მოთხოვნებს.

- თევზსაჭერ გემზე „განთიადი“ გემის ზღვაოსნობის სერტიფიკატის გამცემი ორგანო, შპს „black sea shipping register“, საქართველოს საზღვაო კოდექსის შესაბამისად, 2019 წლის 12 ივნისს (ს/კ: 445524683) აღიარებული იქნა სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ მიერ.

თევზსაჭერ გემზე „განთიადი“-ს, სერტიფიკატის BSSR.F-08 CERT № FV-03/19 გაცემის წინა პერიოდში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:

- ჩატარდა გემის პირველადი დათვალიერება, „ბლექ სი შიპინგ რეჯისტერ“-ის „ექსპლუატაციაში და რემონტში მყოფი 500 ტონამდე და ზომამცირე გემების ტექნიკური ზედამხედველობის წესები“-ს მიხედვით.
- გემის დოკუმენტაცია.
- დეფექტაცია; კორპუსის, საჭის ამძრავი მექანიზმის, ამძრავი ლილვისა და ხრახნის, წყალქვეშა არმატურის რემონტი, შემოწმება და დამოწმება.
- 19.09.2019 გემის შემოწმება დოკუმენტაციის მიხედვით.
- გემის წყალქვეშა ნაწილის მეტალის შეცვლა დეფექტაციის შედეგების მიხედვით.
- ლილვისა და ხრახნის შემოწმება-დამოწმება, საჭის გაზომვა.
- შეიცვალა წყალქვეშა ბორტის მეტალი.
- შედუღებული ნაკერების შემოწმება წყალგაუმტარობაზე, ნავთითა და ცარცით სურვეერების თანდასწრებით.
- გემი ჩაშვებული იქნა წყალზე, ჩატარდა წყალგაუმტარობის ვიზუალური შემოწმება სამანქანო, სატვირთო და სხვა განყოფილებებში.
- ჩატარდა მისაბმელი შემოწმება (ფოთი, სამხრეთ მოლი).
- ჩატარდა სვლით შემოწმება (ფოთი, პორტის აკვატორია).
- რადიონავიგაციური აღჭურვილობა.
- სახანძრო და სამაშველო აღჭურვილობა.

ინციდენტის დადგომის შემდეგ, გემის ეკიპაჟის ქმედებები შეესაბამება არსებულ მოთხოვნებს.

- მოკვლევის პერიოდში განხორციელებული პრევენციული სამუშაოები

1. საზღვაო ტრანსპორტის დირექტორის 2019 წლის 6 დეკემბრის, ბრძანების № 01/01/219 გადაწყვეტილებით - შპს Black Sea Register-ს დროებით 3 თვის ვადით შეუჩერდა კლასში ახალი გემების აყვანის უფლება, შეეზღუდა გემების საკუთარი ზედამხედველობის ქვემ რეგისტრირება, ინსპექტირება, შემოწმება, შესაბამისი მოწმობის გაცემა და ნებისმიერი სხვა ქმედების განხორციელება საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.
2. მიეცათ შესაბამისი მითითება, რომ საკლასიფიკაციო საზოგადოების წესებში შევიდეს ცვლილება და სადოკო შემოწმების პერიოდად განისაზღვროს მკაცრად 2 წელი.
3. დროშის კონტროლის სამმართველოს პროცედურებში შევიდეს ცვლილება და განისაზღვროს, რომ ყოველწლიურად სეზონის დაწყებამდე, სავალდებულო გახდეს დროშის კონცენტრირებული ინსპექტირება თევზსაჭერ გემებზე.
4. საზღვაო ტრანსპორტის დირექტორის 2019 წლის 6 დეკემბრის, ბრძანების № 01/01/220 შესაბამისად, - გამოცხადდა თევზსაჭერი გემების კონცენტრირებული ინსპექტირების კამპანია, რომლის ფარგლებშიც სააგენტოს გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა, საქართველოს ნავსადგურებში შიდა ნაოსნობაში ჩართული თევზსაჭერი გემების კონცენტრირებული ინსპექტირება. როგორც ჩატარებული ინსპექტირების კამპანიის შედეგებიდან ირკვევა, საქართველოს შიდა თევზსაჭერი ფლოტის მდგომარეობა სავალალოა. კერძოდ, შემოწმებული 29 აქტიური რეგისტრაციის მქონე გემიდან, 23 გემი არის მაღალი რისკის მქონე გემი, ხოლო დანარჩენი 6 გემის არსებული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და შეესაბამება სააგენტოს და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.

### 3. დასკვნა

მომხდარი საზღვაო მოვლენა, „საზღვაო ინციდენტების / შემთხვევების სამსახურებრივი მოკვლევის წესი“-ს დანართი 1 „საზღვაო ინციდენტების / შემთხვევების კატეგორიათა ცხრილი“-ს შესაბამისად კლასიფიცირდება, როგორც საზღვაო შემთხვევა - გემის ჩაძირვა

კატეგორია	კატეგორიის ინგლისური შესატყვისი	კატეგორიის აღწერა
გემის ჩაძირვა	Foundered (FD)	გემის ჩაძირვა, გემში წყლის შედინების, მისი ორად გაპობის ან სხვა მიზეზის გამო

### 4. უსაფრთხოების რეკომენდაციები

1. მოცემული საზღვაო ინციდენტის მოკვლევის ანგარიში, ნაოსნობის უსაფრთხოების დონის გაუმჯობესებისა და მსგავსი საზღვაო შემთხვევების პრევენციის მიზნით, შემდგომი რეაგირებისთვის დაეგზავნოს:

- ა) სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს;
- ბ) ფოთის, ბათუმის და ყულევის ნავსადგურების სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურების ხელმძღვანელებს;
- გ) გემთმფლობელს;
- დ) შპს „Black Sea Shipping Register“-ს;
- ე) ქ. ფოთის APM ტერმინალის ხელმძღვანელობას;

2. მოცემული საზღვაო ინციდენტის მოკვლევის ანგარიშის მიმღები სამსახურების ხელმძღვანელობამ უახლოეს დროში უზრუნველყონ:

ა) მოკვლევის ანგარიშის დეტალური განხილვა, მათდამი დაქვემდებარებული შესაბამისი სამსახურების პირად შემადგენლობასთან;

ბ) მჭიდროდ ითანამშრომლონ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან, უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფის მიზნით რეგულაციების შემუშავებისას.

3. სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ, შესაბამის სამსახურებთან მჭიდრო თანამშრომლობით, მოკვლევის ანგარიშის მუხლი 1.9 (მოკვლევისას გამოვლენილი სხვა ნაკლოვანებები)-ში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით გააგრძელოს რეგულაციების შემუშავება - იმპლემენტირება.

4. მოცემული რეკომენდაციების შესრულებაზე ეცნობოს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროებში მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევის ბიუროს.

შენიშვნა: ჩაძირული გემი „განთიადი“-ს ზღვის ფსკერიდან ამოღების შემთხვევაში, ჩაძირვის ზუსტი მიზეზის დადგენის მიზნით, მოკვლევის ბიურო უფლებამოსილია მოკვლევის განახლებაზე.

სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროებში მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევის ბიუროს უფროსი



დავით გიუნაშვილი